

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან
149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი**

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია



პროგრამა და თეზისები

30 აპრილი
2025

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

დარეჯან თვალთვაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე);

კახი ახვლედიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი;

გვანცა ძმანაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

რეგლამენტი:

მოხსენება – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

09. 30-10. 00

მონაწილეთა რეგისტრაცია

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

10.00

კონფერენციის გახსნა

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

მისალმებები

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

პირველი სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ასოცირებული პროფესორი
ნიკო ჯავახიშვილი

10.30 – 13.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 212

გიორგი ბარბაქაძე

ხელოვნური „არხის“ გავლენა სავაჭრო გზებზე (ელინისტურ-რომა-
ულ ხანაში)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ზვიად კვიციანი

მარიამ ლოლაძე, ნინი დეკანოზიძე

ქრისტიანული კოლუმბი: დიდი აღმოჩენი თუ სასტიკი კოლონიზატორი

ხელმძღვანელი: დოქტორი ირაკლი ადიშაშვილი

საბა ცააძე, სემიონ ჯიქია

ნაციონალიზმის აღზევება ევროპაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

ხელმძღვანელი: დოქტორი ირაკლი ადიშაშვილი

ირა გელაძე

ივანე ჯავახიშვილი და აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის კვლევის ისტორია

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ირაკლი გუჯეჯიანი

ანამარია ფანგანი

ივანე ჯავახიშვილი და ტრადიციული ქართული სამეურნეო კულტურის კვლევის ისტორია (მემინდვრეობა სვანეთში)

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ირაკლი გუჯეჯიანი

მარი ბაიდარაშვილი

კახეთის საქორეპისკოპოსოს გენეზისი (საკითხის ისტორიოგრაფია)

ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი დეჩო თავაძე

დიმიტრი ღონაძე

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა დაპირისპირება თამარ მუხრანბატონიშვილის გამო (XVII საუკუნის II ნახევარი)

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ნინო ახალაია

სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

გვანცა ფირცხალაია

თეკლა ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

ხელმძღვანელი: ასოციირებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

ლიზი ჯიბლაძე

მედეა ღამბაშიძე – ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან
ხედმძღვანელი: ასოციებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

შესვენება
13. 00-14. 00

მეორე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ასისტენტ-პროფესორი
მიხეილ ქართველიშვილი

14. 00-18.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 212

ნია ლორია, ნინი კალანდაძე

„ქართული ერის ისტორიის“ მნიშვნელობა თანამედროვე ქართული
ისტორიოგრაფიის განვითარებაში
ხედმძღვანელი: დოქტორი იხმა ჩხეიძე

მარიამ ხაჩიძე, ლიზი სებისკვერაძე

ივანე ჯავახიშვილი და ეროვნული თვითშეგნების ფორმირება სა-
ქართველოს ისტორიოგრაფიაში
ხედმძღვანელი: დოქტორი იხმა ჩხეიძე

კახი ახვლედიანი

ბრძოლა სახელმწიფო ენის სტატუსისთვის – მოვლენები საქართვე-
ლოში, 1978 წლის 14 აპრილამდე
ხედმძღვანელი: ასოციებული პროფესორი ნიკოლოზ ჯავახიშვილი

გიორგი ძიძიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე

კარლ მარქსი – ისტორიის მატერიალისტური ახსნა
ხედმძღვანელი: პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი

მარიამ კაკალაშვილი, ია ხუბაშვილი

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი გლობალურ კონტექსტში: აშშ-სა და ჩინეთის დაპირისპირების ფონზე

ხედმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი დეიდა (ია) ხუბაშვილი

ნატალია ბერიანიძე, მარიამ შენგელია

პარტიული პლურალიზმის დასაწყისი საქართველოში: 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი

ხედმძღვანელი: დოქტორი ნიკოლოზ საჩაჯიშვილი

ლიზი მექვაბიძე, ელენე მეტრეველი

სპარსეთის ყურის ომი (1990–1991): რეგიონული დაპირისპირებიდან გლობალურ კონფლიქტამდე

ხედმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი მიხეილ ქახთვედიშვილი

ნინო ნარინდოშვილი, მარიამ მახათაძე

ქალთა როლი ეთნიკურ და სამოქალაქო კონფლიქტებში: რუანდის გენოციდის ქეისი

ხედმძღვანელი: დოქტორი გიორგი აჩქანია

ქეთი მაისურაძე, ანი მაჭარაშვილი, ანი ივანიძე

ჯონ ლოკის თეორია

ხედმძღვანელი: ფილოსოფიის დოქტორი დავით გაღაშვილი

მესამე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი ნათია დუნდუა

10.30 – 13.00

თსუ | კორპუსი, აუდიტორია 202

ელენე ხუბაშვილი

ქართული რომანტიკული ეპოსი „ეთერიანი“ და „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ კომპარატივისტულ ჭრილში

ხედმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ხვთისო მამისიმედიშვილი

თათია ბაჩიაშვილი

ბერძნული ტრაგედია და ევრიპიდეს „მედეა“

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ახპაძე ედეში

გვანცა ჩადუნელი, შოთა ვადაჭკორია

ორი სამყარო, ორი ნარატივი: ფოკუს პერსონაჟები ბერძნულ და ინდურ მითოლოგიაში

ხელმძღვანელი: დოქტორი იხმა ჩხეიძე

ნათია სიბაშვილი, ანი ავალიშვილი

ითაკა, როგორც ადამიანის მარადიული ნავსაყუდელის სიმბოლო

ხელმძღვანელი: დოქტორი ნინი ქუთელია

თამარ გაბრაჟა, მეგი ალფენიძე

ტრაგედიის ევოლუცია ესქილედან ევრიპიდემდე

ხელმძღვანელი: დოქტორი ნინი ქუთელია

მარიამ თხინვალელი

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი (პროფეტოლოგი-ონში დაცული იონას წინასწარმეტყველების მიხედვით)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა ხაჩანაური

ნინო ვარდიაშვილი

გლოვის სემანტიკის გამომხატველი სიტყვები ძველ ქართულში (მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ანა ხაჩანაური

ანამარია ჭიჭინაძე, ქეთევან ლომიძე

პეტრიწონის მონასტერი და გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის თავგადასავალი

ხელმძღვანელი: ფილოლოგიის დოქტორი ნათია ჟუნდუა

შესვენება

13. 00-14. 00

მეოთხე სექცია

სხდომის თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი
ნინო პოპიაშვილი

14.00-18.00

თსუ I კორპუსი, აუდიტორია 202

ნია ბერძენიშვილი, ანა-მარია ბოჭორიშვილი, მარიამ შენგელია

პეტრე იბერი და ადრეული ქრისტიანული განათლება

ხელმძღვანელი: *პხოფესოხი ქეთევან ჭკუასელი*

მარიამ მეარაყიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ საკრავები მარჯორი უორდროპის ინგლისურ
თარგმანში

ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის დოქტორი კოტე დომიძე*

თამარ გოგიტიძე, ქეთევან დურგლიშვილი

თვითმკვლელობის მოტივი რუსთაველისა და დანტეს შემოქმედე-
ბაში

ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის დოქტორი კოტე დომიძე*

თამარ ლალიაშვილი, შალვა მილაშვილი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნების ისტო-
რიიდან

ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი*

ილონა კირაკოსიანი, ემმა პოლოსიანი

ინტერნეტენა და ჟარგონები

ხელმძღვანელი: *დოქტორი სოფიო პაპიაშვილი*

გვანცა შერმაზანაშვილი კესო შამათავა

ზაირა არსენიშვილის პოეტური ენის საკითხისათვის რომანის „ვა
სოფელო“ მიხედვით

ხელმძღვანელი: *ფილოლოგიის დოქტორი ნინო პოპიაშვილი*

თეზისები

სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე

გადედოფლების შემდეგ ეკატერინე ჭავჭავაძე მეუღლესთან, სამეგრელოს მთავარ დავით დადიანთან ერთად სათავეში ჩაუდგა სამეგრელოს სამთავროს ძველი სისტემის რეფორმირებას. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ კი თავად შეუდგა სამთავროს მართვას. სწორედ მისი დედოფლობის დროს დადიანების სასახლემ შეიძინა ის ფუნქცია, რაც ევროპაში იყო მიღებული. როგორც ირკვევა, დედოფლის მთავარი მიზანი ევროპული და გრანდიოზული ტიპის რეზიდენციის აგება იყო. იგი წარმოადგენს ისეთი სტილის სასახლეს, როგორებიც გვხვდება ინგლისში, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნებში.

მას შემდეგ, რაც ეკატერინე ჭავჭავაძე სამეგრელოს სამთავროს სათავეში ჩაუდგა, საკმაოდ მძიმე პასუხისმგებლობა ხვდა წილად. ეკატერინეს დედოფლობის დროს სამეგრელოს სამთავრომ ოსმალთა შემოსევაც განიცადა. ოსმალთა სარდალმა ომარ-ფაშამ ზუგდიდი დაიკავა და მთავრის სასახლეში გამაგრდა. ნაცვლად იმისა, რომ დედოფალს სამეგრელო დაეტოვებინა და თბილისში გახიზნულიყო, თავად ჩაუდგა სათავეში საკუთარი სამთავროს ხალხს და მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მტერს. მართალია, ქართველებმა შეძლეს ომარ-ფაშას განდევნა, თუმცა მან საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა სამეგრელოს სამთავროს, ვინაიდან გადაწვა დადიანების სასახლეები, მიწასთან გაასწორა ქალაქი ზუგდიდი და გაანადგურა ბოტანიკური ბაღი. მიუხედავად ზემოთქმულისა, ეკატერინე დედოფალმა სრულად განაახლა დადიანების რეზიდენცია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დროთა განმავლობაში შეუძლებელი აღმოჩნდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება და დედოფალი, საბოლოოდ, იძულებული გახდა რუსეთის პროტექტორატი მიეღო.

ამდენად, ეკატერინე ჭავჭავაძეს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სამეგრელოს სამთავროს წინაშე. დადიანების მთავრების რეზიდენცია ეკატერინე დედოფლის შრომის შედეგია. მან შეძლო საქართველოში ახალი, ევროპული სტილის დამკვიდრება, დადიანების სასახლე კი ამის ნამდვილი სიმბოლო გახლავთ. გარდა ამისა, სწო-

რედ ეკატერინემ შეუნარჩა საქართველოს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება.

კახი ახვლედიანი

ბრძოლა სახელმწიფო ენის სტატუსისთვის – მოვლენები საქართველოში, 1978 წლის 14 აპრილამდე

ქართული ენა – ქართველთათვის იდენტობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია, ადრე შუა საუკუნეებში სწორედ იმ ტერიტორიას ეწოდებოდა საქართველო რომელშიც „ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვოდა და ლოცვა ყოველი აღესრულებოდა“ (მერჩულე 2011, 88). ქართული ენის შენარჩუნებაში დიდი წვლილი მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანს, რომელმაც XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე დაწერა ქართული ლექსიკონი – „სიტყვის კონა“.

ქართულ ენას დიდი საფრთხე შეექმნა მეცხრამეტე საუკუნეში, როცა საქართველო რუსეთის იმპერიამ ნაწილ-ნაწილ დაიპყრო, თუმცა გამოჩნდნენ თერგდალეულები ილია ჭავჭავაძის და სხვა არაერთი ღირსეული ქართველის ხელმძღვანელობით, რომელთაც შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ერს მასობრივად წერა-კითხვა ასწავლეს, მაგრამ რუსიფიკაციის გავლენა დიდი იყო, ქართველთა განათლებულ წრეებში რუსულს ღრმად გაედგა ფეხვები, როგორც დავით კლდიაშვილი იხსენებს: „საჭაროდ ქართულ ლაპარაკს ათასში ერთი თუ გაბედავდა. მრავალი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართულ ენაზე სამეცნიერო შრომის დაწერა, ლექციების გადმოცემა და სიტყვის წარმოთქმაც შეუძლებელია. ჩვეულებად იყო ბოდიშის მოხდა: – ქართული არ მეხერხება, ნება მიბოძეთ რუსულად ვილაპარაკო“ (კლდიაშვილი 1961, 21). ამ ძნელებდობის ჟამს, ახალი ტალღით დაიწყო ქართულ ენაზე ზრუნვა. მას კვლავ გამოუჩნდნენ ღირსეული დამცველები, ეს დიდებული საქმე ივანე ჯავახიშვილმა და მის მიერ დაარსებულმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იტვირთა, სწორედ უნივერსიტეტში იქმნებოდა და მდიდრდებოდა ქართული ენა სამეცნიერო ტერმინებით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა სკოლებში ქართული ენის, როგორც სავალდებულო საგნის დაკანონება.

გასაბჭოების შემდეგ ქართულ ენას ყველაზე დიდი საფრთხე 1978 წლის 14 აპრილს დაემუქრა, ლეონიდ ბრეჟნევმა თავის ცნობილ გამოსვლაში განაცხადა, რომ შეიქმნა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი, რასაც რუსული ენის შემდგომი ამაღლების საკითხი უნდა მოჰყოლოდა. შედეგად ახალ კონსტიტუციებში სახელმწიფო ენის შესახებ მუხლი ამოიღეს, თუმცა ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის დასასრულის დასაწყისს საზოგადოება მასობრივი პროტესტით წინ აღუდგა. ნაშრომში მიმოვიხილავ კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებიდან 14 აპრილამდე მიმდინარე მოვლენებს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კონტექსტში.

მარი ბაიდარაშვილი

კახეთის საქორეპისკოპოსოს გენეზისი (საკითხის ისტორიოგრაფია)

VIII საუკუნე კახეთის პოლიტიკურ ისტორიაში მნიშვნელოვანი მიჯნაა. ესაა პერიოდი, როდესაც საფუძველი ეყრება ცალკე პოლიტიკურ ერთეულს. კახეთი საუკუნეების განმავლობაში ქართლის ნაწილი იყო, თუმცა მისი, როგორც ცალკე პოლიტიკური ერთეულის, ჩამოყალიბება VIII საუკუნეში დაიწყო. „მატიანე ქართლისაჲში“ ვკითხულობთ: „შემდგომად სიკუდირისა ადამიანისა განადიდა უფადმან მეფობა აშოგ კუჩაპადაგისა... და გვიგორი მთავრობდა კახეთს“. აღსანიშნია, რომ კახეთის საქორეპისკოპოსოს ჩამოყალიბება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო და მისი გენეზისი გარკვეული პოლიტიკური ცვლილებების შედეგი აღმოჩნდა, რომელსაც ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის საქართველოში ჰქონდა ადგილი.

კახეთის საქორეპისკოპოსოს შესახებ წყაროთმცოდნეობითი ბაზა ვრცელია. ჩვენს ხელთაა ქართული, სომხური, არაბული და ბიზანტიური წყაროები. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „მატიანე ქართლისაჲს“, თომა არწრუნის, ალ-ტაბარის, ალ-ბალაძურისა და კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობებს.

საქორეპისკოპოსოს შესახებ ორიგინალური ცნობები აქვს დაცული ვახუშტი ბატონიშვილს „აღწერა სამეფოსა საქართველო-

საში“, რომელშიც ვხვდებით ისეთ ცნობებსაც, რომლებიც არ ფიქსირდება არცერთ სხვა წყაროში. კახეთის საქორეპისკოპოსოს გენების შესახებ პირველი თვალსაზრისი ვახუშტი ბატონიშვილმა შემოგვთავაზა, რომელიც, ძირითადად, ეყრდნობა „მატიანე ქართლისაჲს“. ვახუშტის მოსაზრებით, მას შემდეგ, რაც ხოსროიანთა მმართველობა შესუსტდა, გრიგოლი კახეთში გამთავრდა. გრიგოლის დაწინაურებაზე საუბრობს ივანე ჯავახიშვილიც „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე ტომში. მეცნიერის აზრით, კახეთმა გაძლიერება გრიგოლამდე დაიწყო, თუმცა ამ უკანასკნელის დროს საგრძნობლად დაწინაურდა.

აღნიშნული საკითხი შესწავლილი აქვს მარიამ ლორთქიფანიძესაც, რომელიც არ იზიარებს სწავლული ბატონიშვილის მოსაზრებას და კახეთის საქორეპისკოპოსოს ჩამოყალიბებას წანარებს, იგივე წანარეთის ხევის მოსახლეობას, უკავშირებს. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მოსაზრებებისა, განხილული გვექნება შემდეგი ავტორების დაკვირვებები, მათ შორისაა: სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, კირილ თუმანოვი, დავით მუსხელიშვილი, თენგიზ პაპუაშვილი, ჰამლეტ მკრტუმიანი და სხვ.

გიორგი ბარბაქაძე

ხელოვნური „არხის“ გავლენა სავაჭრო გზებზე (ელინისტურ-რომაულ ხანაში)

ნილოსის ხეობა უძველესი ცივილიზაციების ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სივრცე იყო. წყლის რესურსების მართვისა და სარწყავი სისტემების განვითარებასთან ერთად, გაჩნდა იდეა – ხელოვნური „არხის“ საჭიროებაზე. ეს არხები თავდაპირველად აგრარული მიზნებით შეიქმნა, თუმცა მალევე იქცა მნიშვნელოვან სატრანსპორტო არტერიებად, რამაც არსებითად შეცვალა სავაჭრო ქსელები და საერთაშორისო ურთიერთობები.

ფარაონების არხი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ჰიდროინჟინრული პროექტი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ნილოსის „დელტადან“ მოხვედრას მენამული ზღვის აუზში. გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე, ეს იყო ახალი პლაცდარმი სავაჭრო მარშრუტების განვითარებაში.

ანტიკური წყაროების მიხედვით, ხელოვნური არხის შექმნა, პირველად ფარაონ ნეხოს, ფსამეტიქის ვაჟის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო მის შემდგომ არხის შექმნის ინტერესი დარიოსსაც გაუჩნდა, თუმცა „პროექტი“ ვერ დაასრულა?!, მოგვიანებით, მეორე პტოლემაიოსმა სისრულეში მოიყვანა, ისეთი სტრატეგიული მდებარეობა შეარჩია, სადაც მარტივად კეტავდა და ხსნიდა არხს, შექმნილ ხელოვნურ სივრცეს, პტოლემაიოსის სახელი ეწოდა. მან არხი გაჭრა ბუბასტისიდან – ჰელიოპოლისამდე, „მწარე ტბების გავლით“, მაგრამ სადავოა ჩადიოდა თუ არა მენამულ ზღვაში. სხვადასხვა ავტორებთან განსხვავებული ცნობები მოიპოვება. იმპერატორმა ტრაიანემ კი – წინარე პერიოდებში გამოყენებული არხი განაახლა, უფრო კომპაქტური, რენტაბელური გახადა: მემფისიდან უკავშირდება პტოლემე II-ის არხს, სანაოსნო გზა მიდიოდა არსინოემდე, კლუსმამდე და შემდეგ ჩადოდა წითელ ზღვაში.

მოხსენებაში ყურადღება გამახვილდება რამდენიმე არქეოლოგიურ არტეფაქტზე, ასევე რა ზომებს მიმართა სელევკიდების სამეფომ, პტოლემე II-ის გამჭრიახი სვლის საპირწონედ, რა ვითარებაა ამ დროს არაბეთის ნახევარკუნძულზე და რამდენად არის ამ არხის გამოყენებით შესაძლებელი ეგვიპტური ნაწარმის მოხვედრა ქართლის სამეფოში.

თათია ბაჩიაშვილი

ბერძნული ტრაგედია და ევრიპიდეს „მედეა“

მოხსენება ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთ გამორჩეულ ჟანრს, ბერძნულ ტრაგედიას, შეეხება. იგი განიხილავს ტრაგედიის მნიშვნელობას ბერძენი ხალხის ცხოვრებაში; თუ რა დანიშნულებაა და მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა და შემდეგ მაყურებლამდე მიტანა. განვიხილავთ ტრაგიკული ბედის მქონე პერსონაჟს, რომელიც ადამიანებში იწვევდა თანაგრძნობის, შიშისა და სიბრალულის გრძნობას. მოხსენებაში ყურადღებას მივაქცევთ ბერძნული ტრაგედიის სტრუქტურას, კერძოდ მის შემადგენელ ნაწილებს: პროლოგი, პაროდოსი, ეპისოდულები, სტასიმონი და ექსოდოსი. ამასთანავე, წარმოდგენილია ბერძენი ფილოსოფოსების, პლატონის და არისტოტელეს მოსაზრებები ზოგადად ტრაგედიის,

ამ ჟანრის სპეციფიკის, ავკარგიანობის და პერსონაჟების შესახებ. რაც ყველაზე მთავარია, დეტალურადაა განხილული ევრიპიდეს „მედეა“ ყველა იმ მახასიათებლის მიხედვით, რაც ამ პერიოდის ტრაგედიას ახასიათებდა. საუბარია ნაწარმოების ძირითად თემებზე, მათ აქტუალობაზე ანტიკურ პერიოდსა და დღევანდლობაში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული ნაწარმოები საუკუნეების წინ შეიქმნა, დღესაც არაერთი ავტორისთვის ინსპირაციის წყაროს წარმოადგენს და არ კარგავს აქტუალობას.

ნატალია ბერიანიძე, მარიამ შენგელია

პარტიული პლურალიზმის დასაწყისი საქართველოში: 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების ანალიზი

არჩევნები მოსახლეობის ნების გამომხატველ სამართლებრივ და კანონიერ გზადაა მიჩნეული. ყოველ ადამიანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის მართვაში, ეს არის ის, რაც აყალიბებს წარმომადგენლობით დემოკრატიას. საქართველოში მრავალპარტიული არჩევნები პირველად 1919 წელს ჩატარადა, თუმცა საბჭოთა ოკუპაციის გამო მან სისტემური ხასიათი ვერ შეიძინა. იმავე მიზეზით საქართველოში ყველა დემოკრატიული პროცესი შეწყდა. ახლად დაბადებულმა წარმომადგენლობითმა დემოკრაციამ განვითარება შეწყვიტა.

1989 წლის 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე სერიოზულ გავლენას ვეღარ ახდენდნენ და შეიძლება ითქვას, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე საბჭოთა ხელისუფლება ნომინალურად არსებობდა. დასახელებულ მრავალპარტიულ არჩევნებამდე მისასვლელად ქართველმა საზოგადოებამ და პოლიტიკურმა პარტიებმა საკმაოდ რთული გზა გაიარა. უშუალოდ არჩევნებმა კი მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქართველოს უახლეს ისტორიაზე. ამ პერიოდიდან იწყება პარტიული პლურალიზმის ჩამოყალიბება და ერთპარტიული საბჭოთა სისტემის დემონტაჟი.

წინამდებარე მოხსენების მიზანს წარმოადგენს აღნიშნული არჩევნების, როგორც გარდამტეხი პოლიტიკური ცვლილების ისტო-

რიული და პოლიტიკური კონტექსტის კვლევის შედეგების გაცნობა. მოხსენებაში წარმოდგენილი გვექნება 1990 წელს არსებული პოლიტიკური ძვრების ანალიზი (წინასაარჩევნო პერიოდი), ვისაუბრებთ პარტიათა დაპირისპირებებზე, მათ პროგრამებსა და თავად 28 ოქტომბრის არჩევნებზე. განვიხილავთ, თუ რამ მისცა გეზი საქართველოში პლურალიზმის გაღვივებას და მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ როგორ იქცა აღნიშნული მოვლენა, ფაქტობრივად, საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილების ქვაკუთხედად. თემის წარდგენისას ვისაუბრებთ საერთაშორისო ინტერესსა და შეფასებებზე. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს არ ჰქონია ლოკალური ხასიათი. მის შესახებ ინფორმაციას ეცნობოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნული მოვლენა აღიარეს და ლეგიტიმაცია მისცეს მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანმა ქვეყნებმა, როგორც საქართველოს მოსახლეობის აშკარად გამოხატული ნების დამადასტურებელი სამართლიანი არჩევნები. ამ ყოველივემ კი საერთაშორისო ასპარეზზე ხელი შეუწყო შემდგომში საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებას.

ნია ბერძენიშვილი, ანა-მარია ბოჭორიშვილი, მარიამ შენგელია

პეტრე იბერი და ადრეული ქრისტიანული განათლება

პეტრე იბერი – V საუკუნის გამორჩეული სასულიერო მოღვაწე – მოღვაწეობდა სირია-პალესტინაში. მისი იდეები და ფილოსოფიური ხედვები დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა მნიშვნელოვანწილად იყო დაკავშირებული სამონასტრო განათლებასთან, ამდენად, მნიშვნელოვანია მისი იდეები და დამოკიდებულება სწავლა-აღზრდის საკითხებისადმი. მოვიტანთ მისი მოღვაწეობის ძირითად პრინციპებს სწავლა-განათლების საკითხებთან მიმართებით:

მონასტეხი, ჰოგოხი საგანმანათლებლო სივსე – პალესტინაში დაარსებული ლავრა – იბეხთა დავხა – სერიოზულ საგანმანათლებლო ცენტრს წარმოადგენდა. პეტრე იბერის მონასტერი შეიძლება

მოვიაზროთ, როგორც სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ განათლებას. ლავრა წარმოადგენდა ქართულ კულტურულ-ინტელექტუალურ დიასპორის ცენტრს, სადაც შეიქმნა სწავლების სისტემა ქართულ ენაზე.

სწავლება ხოგოხს სულიერი აღზრდის წყაიხი – პეტრე იბერიის სწავლება მკაცრ ასკეტიზმს ემყარებოდა. ეს იყო არა მხოლოდ ცოდნის გადაცემა, არამედ ხასიათის, რწმენის და სულიერი სიმტკიცის ჩამოყალიბება, ანუ იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ესთეტიკურ აღზრდას. მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო პიროვნების გარდაქმნა.

განათლებისა და პიროვნული თავისუფლების მიმაჩთება – პეტრე იბერიის სწავლება ეყრდნობოდა შინაგან თავისუფლებას, როგორც სწავლების შედეგს. ასეთი მიდგომა გამოხატავს განათლების ჰუმანისტურ გაგებას, რომლის მიზანია ინდივიდის სრულყოფა შინაგანი სიმართლის ძიების გზით. პეტრე იბერი, როგორც მასწავლებელი და სულიერი მოძღვარი, არ ცდილობდა მორჩილი მიმდევრების აღზრდას. თანამედროვე პედაგოგიკაში ეს მიდგომა შეესაბამება იმ კონცეფციას, რომელსაც კრიტიკული და განმათავისუფლებელი განათლება ეწოდება (მაგალითად, პაულო ფრეიერეს იდეები).

ამ კონტექსტში პეტრე იბერიის სწავლება შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ადრეული ფორმა იმისა, რაც დღეს დემოკრატიულ და ჰუმანისტურ განათლებას ქმნის – განათლებას, რომელიც ადამიანში ზრდის პასუხისმგებლობას, ღირებულებით მსჯელობასა და თვითიდენტობის გაცნობიერების უნარს.

თაჩგმნა და საგანმანათლებლო ღიჭეხაჭეხა – პეტრე იბერმა ბერძნულიდან თარგმნა ბასილი დიდის, იოანე ოქროპირისა და სხვა წმინდანთა ტექსტები, რომლებიც მონასტრის სასწავლო მასალას წარმოადგენდა ქართველი სტუდენტებისათვის. ფაქტობრივად, იგი ითვლება ქართულ ენაზე საღვთისმეტყველო ლიტერატურის შექმნის ფუძემდებლად. ის წარმოადგენდა ინტელექტუალურ ხიდს საქართველოსა და ბიზანტიას შორის, რითაც ხელი შეუწყო ქრისტიანული სწავლების გავრცელებას იბერიაში.

ტრაგედიის ევოლუცია – ესქილედან ევრიპიდემდე

საკონფერენციო თემა ეხება სამი დიდი ბერძენი ტრაგიკოსის: ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს მნიშვნელოვან როლს ლიტერატურული ჟანრის, ტრაგედიის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ბერძნული ტრაგედია – ეს არის არა მხოლოდ ანტიკური დრამატურგიის მწვერვალი, არამედ მთლიანად დასავლური თეატრალური ტრადიციის საფუძველი. იგი აღწერს ადამიანის დამოკიდებულებას ღვთაებრივი წესრიგის, ბედისწერისა და საკუთარი თავისუფალი ნების მიმართ. ტრაგედიის ფორმირება არ ყოფილა ერთგვაროვანი პროცესი, პირიქით, მისი განვითარება მჭიდროდ არის კავშირში პოლიტიკური, ფილოსოფიური და კულტურული კონტექსტების ცვლილებასთან, რომელიც მიმდინარეობდა ძველი ათენის საზოგადოების განვითარებისას მის სხვადასხვა ეტაპზე. ესქილე, სოფოკლე და ევრიპიდე – სამი უდიდესი ტრაგიკოსი – წარმოადგენენ ამ ევოლუციური გზის თანმდევ ფიგურებს. თითოეული მათგანი ქმნის საკუთარი დროის გამოძახილს. თუ ესქილესთან ტრაგედია ჯერ კიდევ წმინდა რელიგიურ-მორალურ ქრილში განიხილება. სოფოკლესთან ის იქცევა ადამიანური დრამის თეატრალიზებულ გამოხატულებად, ხოლო ევრიპიდესთან ტრაგედია ფსიქოლოგიური დისკუსიისა და სკეპტიციზმის არენად გვევლინება.

ამ მოხსენების მიზანია ტრაგედიის ევოლუციის ეტაპობრივი წარმოჩენა ესქილედან ევრიპიდემდე, მათ შორის არსებული სტილისტური, თემატური და იდეოლოგიური ცვლილებების გამოყოფა, რაც ნათლად წარმოაჩენს და ხაზს უსვამს, თუ როგორ იძენს ტრაგედია განსხვავებულ ფუნქციას სხვადასხვა ავტორისა და ეპოქის დროს.

**ივანე ჯავახიშვილი და აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის
კვლევის ისტორია**

ივანე ჯავახიშვილი (1876-1940) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მკვლევარია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის სფეროში. მისი ინტერესის სფერო საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი გახლდათ. ნაშრომში „მასალები საქართველოს შინამრეწველობის ისტორიისთვის“ მოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ეთნოგრაფიული მასალა აჭარის ყოფიდან და კულტურიდან. ჯავახიშვილი დეტალურად აღწერს ხის დამუშავებას, ქსოვას, კერამიკის წარმოებასა და მეტალურგიას, რაც ხელოსნობისა და შინამრეწველობის ტრადიციებსა და საწარმოო კულტურის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს. ასევე, მკაფიოდაა ასახული აჭარული სამოსის თავისებურებები, ტრადიციული ქსოვილები და მათი დამზადების ტექნიკა, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მათი მშენებლობის მეთოდები და გამოყენებული მასალები, აჭარაში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მათი კავშირი რეგიონის ბუნებრივ პირობებთან. აღსანიშნავია, რომ ზემოთ ხსენებულ ლიტერატურაში დეტალურად არის განხილული სხვადასხვა იარაღის დამზადების ტექნიკა და გამოყენების სფეროები, ასევე ტრადიციული ხელობები და მათი სოციალური მნიშვნელობა აჭარის ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ნაშრომში წყაროთმცოდნეობითი ანალიზითა და თვისობრივი კვლევის მეთოდით შევისწავლე საკითხი, რის საშუალებითაც მკაფიო გახდა: ყოფის, ტრადიციებისა და ღირებულებებისა თუ შეხედულების კომპლექსური სისტემა. ნაშრომში ვრცლად ვისაუბრებ თითოეულ ზემოთ ხსენებულზე, რაც მკაფიოსა და ცხადს გახდის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლს. მისი მეთოდოლოგიური მიდგომა გამოირჩევა იმით, რომ ის აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფას განიხილავს ისტორიულ კონტექსტში და აჩვენებს მის კავშირს ზოგადქართულ კულტურასთან, ამავე დროს, ხაზს უსვამს ამ რეგიონის უნიკალურ თავისებურებებზე, რომლებიც გეოგრაფიული მდებარეობითაა განპირობებული.

დაკვირვებისა და კვლევის მიზანია, სიღრმისეულად შევისწავლოთ XIX-XX საუკუნეების აჭარის ყოფითი რეალობა. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ თვალნათლად წარმოვაჩინოთ ის კულტურის ელემენტები, რომლებსაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა აჭარელთა ცხოვრებასა და საქმიანობაში.

თამარ გოგიტიძე, ქეთევან დურგლიშვილი

თვითმკვლელობის მოტივი რუსთაველისა და დანტეს შემოქმედებაში

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება თვითმკვლელობის მოტივი შუა საუკუნეების ორ მნიშვნელოვან ნაწარმოებში: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანსა“ და დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიაში“. მიუხედავად იმისა, რომ ორივე ავტორი ქრისტიანული ღირებულებებით იყო ნასაზრდოები, მათი მიდგომები თვითმკვლელობის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავდება.

დანტესთან თვითმკვლელობა უპირობოდ დაგმობილია. „ჯოჯოხეთის“ მეცამეტე ქებაში თვითმკვლელთა სულები ხედ არიან გარდაქმნილნი, რაც სიმბოლურად გამოხატავს მათ მიერ საკუთარი სხეულის უარყოფას. მათი სასჯელი მარადიულია – განკითხვის დღესაც კი ვერ დაიბრუნებენ ადამიანურ სხეულს.

რუსთაველთანაც თვითმკვლელობა „სატანის საქმედ“ არის მიჩნეული, თუმცა მისი დამოკიდებულება უფრო კომპლექსურია. პოემის გმირები (ავთანდილი, ტარიელი) ებრძვიან თვითმკვლელობის აზრს, მაგრამ დავარის სუიციდი და ნესტანის მზაობა უკიდურეს შემთხვევაში თავი მოიკლას და, ამასთანავე, იქონიოს ღვთის შეწევნის იმედი („სული ჩემი შეივედრე, ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი“), მიუთითებს პიროვნული არჩევანის მნიშვნელობაზე.

განსხვავებები აიხსნება ავტორთა კულტურული კონტექსტით: დანტე მკაცრად მიჰყვება კათოლიკური ეკლესიის დოგმას, რომლის თანახმადაც თვითმკვლელობა შეუნდობელი ცოდვაა; რუსთაველის პოემაში კი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ადამიანის პირადი არჩევანი, სიყვარულის ძლიერება და სასოწარკვეთილებაშიც კი ღვთის წყალობის იმედი.

**გლოვის სემანტიკის გამომხატველი სიტყვები ძველ
ქართულში
(მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით)**

სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სიტყვები (სიხარულის, სევდის, გოდების, ვედრების, სინანულის) წმინდა წერილში მრავლად გვხვდება. მოხსენებაში ვისაუბრებთ გლოვის მნიშვნელობის მქონე სიტყვათა ჯგუფზე მცირე წინასწარმეტყველთა წიგნების მიხედვით.

მცირე წინასწარმეტყველთა წიგნებში, რომელთა ქართული თარგმანი არის დაცული ბიბლიის (ოშკის – Ath. 1, იერუსალიმის – Jer. Geo. 7/11, გელათისა A-1108 და მცხეთურ ხელნაწერში – A 51) ლიტურგიკულ (ლექციონარებსა და მის გვიანდელ ფორმაში საწინასწარმეტყველოებში) და მეტაფრასულ კრებულებში (K-1. K-4. K-3). გლოვის შინაარსის გამომხატველი შემდეგი ლექსიკური ერთეულები გვხვდება: გღოვა, გოღება, გყება, გიხიღი, სუდტჲმა და ცხემდრობა. მათ ბერძნულში შეესაბამება: θρηνο, κῶπῶ, κλαυθμός, πένθος, δάκρυα και στεναγμός.

ქართულ თარგმანში ზოგჯერ ეს ლექსიკური ერთეულები შეიძლება ერთმანეთს შეენაცლოს კიდევ სხვადასხვა ხელნაწერში ან ტექსტურ ფორმაში.

კვლევის მიზანია, ერთი მხრივ, ქართულში გლოვის სემანტიკური ჯგუფის სიტყვათა მნიშვნელობების გარკვევა და მათ შორის ნიუანსური განსხვავებების შენიშვნა, რისი დადგენაც შესაძლებელია ბერძნული სიტყვის მნიშვნელობებით, რაც, რიც შემთხვევებში, არ ხერხდება მხოლოდ კონტექსტიდან ამოსვლით.

მეორე მხრივ კი გვიანტერესებს ქართველ მთარგმნელებს თუ გადმოაქვთ მყარი ლექსიკური ეკვივალენტებით გლოვის ზემოთ ნახსენები ბერძნული ლექსიკური ერთეულები. და ასევე, განსხვავდება თუ არა ბიბლიის ძველი და გვიანდელი მთარგმნელობითი მეთოდები ერთმანეთისგან ამ მხრივ.

მარიამ თხიწვალელი

გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი (პროფეტოლოგიონში დაცული იონას წინასწარმეტყველების მიხედვით)

ბიბლიის ძველი ქართული თარგმანი ბიბლიის ხელნაწერების (ოშკური და იერუსალიმური ნუსხა) გარდა დაცულია ლიტურგიკულ კრებულებში: ლექციონარებსა და საწინასწარმეტყველოებში. გიორგი მცირის ცნობით, საწინასწარმეტყველო გიორგი მთაწმინდელს უთარგმნია: „კუალად თარგმნა წმიდამამ მამამან გიორგი შემდგომად სჯაქსარისა სახარებად გამოკრებული საწელიწდოდ, პავლე გამოკრებილი საწელიწდოდ, საწინასწარმეტყველოდ საწელიწდოდ“ (ძეგლები, 1978:291). საწინასწარმეტყველოს ახლადმთარგმნელად გიორგი მთაწმინდელი დასახელებულია 1085 წელს გადაწერილი ხელნაწერის (A-192) ანდერძშიც: „დაესრულა საწელიწდოდ საწინაღწარმეტყველოდ წესსა ზედა ბერძულსა ახალ თარგმნილი წმიდისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმინდელისა“.

საწინასწარმეტყველოში სრულად არის შესული იონას წინასწარმეტყველება, რომელიც ოთხი თავისაგან შედგება. მისი ბერძნულ და სხვა ქართულ ვერსიებთან (ოშკურ-იერუსალიმურ თარგმანებთან და ლექციონართან) შედარების საფუძველზე ჩვენი მიზანია:

ა) დავადგინოთ რა მიმართებაშია საწინასწარმეტყველოში დაცული იონას წინასწარმეტყველების საკითხავის ტექსტი, ერთი მხრივ, ბერძნულ დედანთან და, მეორე მხრივ, სხვა ქართულ ვერსიებთან (ოშკურ-იერუსალიმურ ნუსხასთან და ლექციონარებთან);

ბ) ამის საფუძველზე განვსაზღვროთ, გიორგი მთაწმინდელმა საწინასწარმეტყველო ახლად თარგმნა თუ ბიბლიის ან ლექციონარის ტექსტი ასწორა;

გ) გავმიჯნოთ და გავაანალიზოთ ბერძნული წყაროებიდან და თარგმანის ტექნიკით განპირობებული სწორებები. ცვლილებათა ტენდენციებზე დაკვირვების შედეგად კი გამოვკვეთოთ გიორგი მთაწმინდელის რეცენზირების სტილი.

ილონა კირაკოსიანი, ემმა პოლოსიანი

ინტერნეტენა და ჟარგონები

ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების ზეგავლენა ენის ცვლილებაზე. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერნეტენის ფორმირებასა და მის გავლენას ქართულ ენაზე.

ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ ვრცელდება ინგლისურიდან გადმოსული ტერმინები ქართულ ენაში და როგორ ჩნდება ნეოლოგიზმები, როგორებიცაა, მაგალითად, „დალაიქება“, „დასქრინვა“, „დაფოლოვება“ და სხვ. ამ ტენდენციებს თან ახლავს ენის უცხოური, განსაკუთრებით კი ინგლისურენოვანი ტერმინოლოგიის ინტენსიური გავრცელება ქართულ ენაში როგორც პროფესიულ, საგანმანათლებლო სფეროებში, ასევე ყოველდღიურ საუბარში. ასევე, განიხილება ინტერნეტ-ჟარგონები, რომლებიც, ერთი მხრივ, ამარტივებს და აჩქარებს კომუნიკაციას, ქმნის სწრაფი და ეფექტური ურთიერთგაგების პირობებს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. მეორე მხრივ კი, მსგავსი ენობრივი ფორმები შესაძლოა სირთულეს ქმნიდეს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ სპეციფიკურ კომუნიკაციურ კოდს ნაკლებად ფლობენ. ტექსტში ხაზგასმულია საჭიროება კრიტიკული შეფასებისა, თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს უცხოური სიტყვები ისე, რომ ქართული ენა დარჩეს თანამედროვე და, ამავდროულად, თავისი კულტურული თვითმყოფადობის მატარებელი.

თამარ ლალიაშვილი, შალვა მილაშვილი

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნების ისტორიიდან

მე-19 საუკუნის საქართველო რუსეთის იმპერიის მმართველობის ქვეშ იყო მოქცეული და მის დიდ ზეგავლენას განიცდიდა. აქტიურად მიმდინარეობდა ქართველთა გარუსების პოლიტიკა. ეს ყველაფერი გამოიხატებოდა სასწავლო სისტემაშიც: არ არსე-

ბობდა ქართულ ენაზე ფუნქციონირებადი საგანმანათლებლო და-
წესებულებანი, სახელმძღვანელოები არ იბეჭდებოდა ქართულ
ენაზე. სკოლები რომლებიც რუსებმა გახსნეს ფუნქციონირებდა
რუსულ ენაზე და ქართულად საუბარი ისჯებოდა სხვადასხვა ხე-
რხით. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა საქართველოში დიდი სა-
განმანათლებლო მოძრაობის წამოწყება, რომელიც წერა-კითხვის
გამავრცელებელი სახელით გახდა ცნობილი. ამ მოძრაობას, რომ-
ლის დაარსების თარიღად 1879 წლის 31 მარტი ითვლება, სათავეში
ედგნენ მაშინდელი გამოჩენილი მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე,
იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მა-
ჩაბელი, ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი და რაფიელ ერისთავი. წე-
რა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მაშინვე აქტიური
მოძრაობა დაიწყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ეს საკმაოდ
შრომატევადი საქმე იყო, რადგან როგორც ქართულენოვანი, ისე
ეროვნული უმცირესობებისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომი უნ-
და ყოფილიყო. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ მთელ თბი-
ლისში ერთი ქართული სკოლაც კი არ არსებობდა და რადგან ბა-
ვშვები უცხოენოვან „შკოლებში“ იღებდნენ განათლებას, მეტყვე-
ლება უმახინჯდებოდათ.

იმისათვის რომ ერი არ გამქრალიყო, საჭირო იყო მშობლიური
ენის შენარჩუნება, რადგან ენის დაკარგვა ავტომატურად ნიშნავდა
ქართული ანბანის დაკარგვასა და „კირილიცას“ ანბანური სისტემის
დანერგვას. ყოველივე ეს გამოიწვევდა იდენტობის დაკარგვას. რა
თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაციის დაარსება მით უმეტეს როდესაც
დიდი წინააღმდეგობა არსებობდა, არ იყო მარტივი საქმე. ეს ყვე-
ლაფერი უკავშირდებოდა ფინანსებსა და დიდ ძალისხმევას, კერ-
ძოდ, ქართულენოვანი მასწავლებლების მომზადებას, წიგნთსა-
ცავებისა და ბიბლიოთეკების შექმნას, სახელმძღვანელოების
შედგენასა და დაბეჭდვას ქართულ ენაზე, სასწავლო დაწესებულე-
ბების კეთილმოწყობასა და ნებისმიერი სოციალური ფენისთვის
ხელმისაწვდომობას, ე. ი. ეს ნიშნავდა, რომ ქართულ ენაზე განათ-
ლება უნდა ყოფილიყო უსასყიდლო ყველასთვის.

მოხსენებაში განვიხილავთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა წერა-კი-
თხვის გამავრცელებელი საზოგადოება და რა ნაბიჯებს დგამდნენ
ქართული საგანმანათლებლო სისტემის დანერგვასა და განვითა-
რებაში ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში.

**ქრისტეფორე კოლუმბი: დიდი აღმოჩენი თუ სასტიკი
კოლონიზატორი**

ამერიკის აღმოჩენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. 1494 წლის 12 ოქტომბრის ექსპედიცია წინაპირობა იყო ახალი ეპოქის დაწყებისა და ახალი ერებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებისა, მათ შორის ისეთი ზესახელმწიფოსი, როგორიც ამერიკაა. ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქრისტეფორე კოლუმბი, მოუხედავად მისი დამსახურებისა, არაერთგვაროვნად არის შეფასებული. ერთნი თუ მას მიიჩნევენ, როგორც უდიდეს აღმოჩენსა და გეოგრაფს, მეორენი მას სასტიკ, დაუნდობელ დამპყრობელად აღიქვამენ, რომელიც დამნაშავეა კოლონიალიზმის დაწყებაში, მონათმფლობელობის გავრცელებასა და ცივილიზაციების განადგურებაში. სწორედ მის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამ განაპირობა ესპანელი კონკისტადორების მიერ აცტეკების, ინკებისა და მაიას ტომების განადგურება. კოლუმბის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება შედარებით გამძაფრდა უკანასკნელ წლებში, როდესაც ღირებულებები გადაფასდა და ეთნიკური უმცირესობების უფლებების საკითხი უფრო აქტუალური გახდა. სწავლების მიზანი სულ უფრო ხშირად ხდება არა მხოლოდ ფაქტების გადმოცემა, არამედ მათი კრიტიკულად განალიზება, რაც ხელს უწყობს ისტორიული პროცესების ღრმა გაგებას. აქედან გამომდინარე, აქამდე თუ კოლუმბის ღვაწლი ცალმხრივად აღტაცების ობიექტი იყო, მისი პიროვნება საყოველთაოდ დაფასებული და კოლუმბის დღეც კი მასშტაბურად აღინიშნებოდა, დღეს აშშ-ში ანტირასისტული მოძრაობების ფონზე, კოლუმბის ძეგლები ხშირად ვანდალიზმის ობიექტი ხდება. თავის მხრივ, ზემოთ ჩამოთვლილი ცივილიზაციები, განსაკუთრებით აცტეკები, ისტორიაში ცნობილნი არიან ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის რიტუალებითა და სხვა მავნებლური წეს-ჩვეულებებით, რაც საკმარისი მიზეზია საზოგადოების ნაწილისთვის, „გამართლოს“ მათი გენოციდი.

ქრისტეფორე კოლუმბის ფიგურა მრავალმხრივია და მისი შეფასება დამოკიდებულია ისტორიულ კონტექსტზე და პერსპექტი-

ვაზე. მისი მემკვიდრეობა ერთდროულად მოიცავს როგორც გლობალურ აღმოჩენებს, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ტრადიციებს. ამიტომ, მისი როლის შეფასება საჭიროებს ღრმა ანალიზსა და ისტორიული ფაქტების მრავალმხრივ განხილვას. ჩვენი კვლევის მიზანი სწორედ ქრისტიანულ კოლუმბის პიროვნებისა და მის მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის მრავალმხრივი შეფასება და მის შემდეგ დაწყებული კოლონიალიზმისა და ძველი ცივილიზაციების განადგურების კრიტიკული გაანალიზებაა თანამედროვე ღირებულებებისა და ანტირასისტული მოძრაობების კონტექსტში.

ნია ლორია, ნინი კალანდაძე

„ქართული ერის ისტორიის“ მნიშვნელობა თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში

ივანე ჯავახიშვილის მრავალტომეული, „ქართული ერის ისტორია“, წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომს ქართული ისტორიოგრაფიის ჩამოყალიბებაში. ნაშრომმა საფუძველი ჩაუყარა კრიტიკულ და მეცნიერულ მიდგომას ისტორიის წერის პროცესში. მასში გამოყენებულია ინტერდისციპლინური მეთოდოლოგია, რაც დღემდე ინარჩუნებს აქტუალობას. მოცემული ნაშრომი საფუძვლად დაედო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებას. მისი მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მანამდე არსებული ქრონიკული თხრობებისგან. ავტორი ისტორიის შესწავლას მიუდგა, როგორც კრიტიკულ-ანალიტიკურ პროცესს და ისტორიული მოვლენების აღწერისას დაეყრდნო მრავალფეროვან წყაროებს – წარწერებს, მათიანეებს, ენათმეცნიერულ მასალას, არქეოლოგიურ მტკიცებულებებსა და ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ეს ინტერდისციპლინური მიდგომა იყო უჩვეულო იმდროინდელი ქართული ისტორიოგრაფიისთვის და მკაფიოდ განსაზღვრა მომავალი კვლევების ხარისხი და სტანდარტი.

„ქართული ერის ისტორია“ პირველწყაროს მნიშვნელობით განიხილება როგორც აკადემიური საზოგადოების, ასევე ისტორი-

კოსების მიერ. თვით ივანე ჯავახიშვილის ტექსტი დღესაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ და კომპლექსურ ნაშრომად, რომელიც მრავალმხრივად აშუქებს ქართულ წარსულს. მისი ინტერპრეტაციები ხშირად გამხდარა დისკუსიის საგანი, რაც მეტყველებს ტექსტის სიღრმესა და მნიშვნელობაზე. „ქართული ერის ისტორია“ აღემატებოდა უბრალო თხრობას – ჯავახიშვილი ისტორიულ მოვლენებს განიხილავდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, რაც მიაწინებს მის მეცნიერულ ანალიზზე. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართველი ერის წარმომავლობის, კულტურისა და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების საკითხებს. ავტორი ცდილობდა ერვნებინა, რომ ქართველ ერს გააჩნდა უწყვეტი ისტორიული განვითარება და კულტურული თვითმყოფადობა, რაც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა XX საუკუნის დასაწყისის ეროვნულ-პოლიტიკურ რეალობაში. ამ ნაშრომების ანალიზი ცხადყოფს, რომ ივანე ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორია“ დღემდე არის ქართული ისტორიული მეცნიერების საყრდენი და მუდმივი ინსპირაციის წყარო ახალი თაობის მკვლევრებისთვის. სწორედ ამიტომ, მოცემული ნაშრომის კვლევა მუდმივად აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება ქართველი ერის ცხოვრებაში.

მოხსენების მიზანია ივანე ჯავახიშვილის მიერ შექმნილი მრავალტომეული „ქართული ერის ისტორია“ გაანალიზდეს, როგორც თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებლური ნაშრომი. ამავდროულად დადგინდეს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მას დღეს და რამდენად აქტუალური კვლავ იგი.

ქეთი მაისურაძე, ანი მაჭარაშვილი, ანი ივანიძე

ჯონ ლოკის თეორია

თითოეულ ადამიანს შეუძლია ყველაფერი შეიმეცნოს, რადგან ადამიანები, საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ილწვიან ცოდნისკენ. ამაზე მიგვითითებს შემდეგი სიტყვები, რომ შემეცნება არის ადამიანის გონების (ცნობიერება) მიერ განხორციელებული მოქმედებების და პროცედურების ერთობლიობა, რომლის მიზანი და შედეგია სინამდვილის, მისი მოვლენების და კანონზომიერე-

ბის შესახებ ცოდნის მოპოვება. ი. კანტმა ადამიანის გონების უნარებში განასხვავა შემეცნება და აზროვნება. შემეცნება უწოდა ბუნებისმეცნიერებას, ხოლო აზროვნება კი არის მეტაფიზიკურის, არსებულის, სამყაროს პირველსაწყისებზე და უკანასკნელ მიზნებზე აზროვნება. შემეცნება გულისხმობს გონების, ცნობიერების აქტივობას, რომლის საგანია ემპირიული რეალობა, ბუნების კანონების დადგენა. შემეცნება არის ბუნებისმეცნიერების არსი.

ჯ. ლოკის, როგორც ფილოსოფიის მნიშვნელობა, პირველ რიგში, გამოიხატა იმაში, რომ ფილოსოფიური საკითხების განხილვისას შემეცნების თეორია პირველ ადგილას დააყენა. მთელი ახალი ფილოსოფიის დასაწყისი ხასიათდებოდა მეთოდის პრობლემის აღმოჩენა-განვითარებაში. ჯონ ლოკი პირველად გარკვეულად სვამს საკითხს, შესაძლოა თუ არა საერთოდ შემეცნება.

სამეცნიერო კვლევა გვიჩვენებს, რომ ჯონ ლოკი გვთავაზობს უამრავ არგუმენტს თანდაყოლილი თეორიისა და იდეის შესახებ. მან ეს ყველაფერი სპეციალურად გააანალიზა და დასკვნის სახით გადმოგცა.

ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით მეცნიერს საკუთარი არგუმენტი და პასუხი აქვს. აღსანიშნავია, რომ თანდაყოლილი იდეის ქონა არ ნიშნავს იმას რომ თითქოს ადამიანებს ეს ყველაფერი დაბადებიდანვე გვერგო. ამის საპასუხოდ ჯონ ლოკი ამტკიცებს, რომ თანდაყოლილი იდეების გაცნობიერება ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი ნამდვილად იწყებს აზროვნებას, როდესაც ადამიანს შესწევს იმის ძალა, რომ მან ეს უნარი გამოიყენოს.

მარიამ მეარაყიშვილი

„ვეფხისტყაოსნის“ საკრავები მარჯორი უორდროპის ინგლისურ თარგმანში

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული მუსიკალური ინსტრუმენტები მნიშვნელოვან კულტურულ ელემენტს წარმოადგენენ, რომელთა თარგმნაც გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ნაშრომში გაანალიზებული იქნება პოემაში მოხსენიებული საკრავები და მათი გადატანის მეთოდები მარჯორი უორდროპის ინგლისურ თარგმანში.

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის ინსტრუმენტები: სიმებიანი (ბარბითი, ებანი, ჩანგი, ჩალანა), ჩასაბერი (ბუკი, ნა, ნიშაგი, ნიში) და დასარტყამი (დაბდაბი, დაფი, ნობა, ნობათი, ტაბლაკი, ქოსი). ასევე გვხვდება საჩხარუნებელი და ჟღარუნა ინსტრუმენტები (ეჟვანი, წინწილა).

უორდროპის თარგმანში ეს სპეციფიკური ინსტრუმენტები სხვადასხვა ხერხით არის გადატანილი – ზოგიერთი შენარჩუნებულია ტრანსლიტერაციით, ზოგი შეცვლილია კულტურული ანალოგებით, ზოგიც აღწერილობითი მეთოდით გადმოიცემა. ეს მიდგომები მნიშვნელოვნად განაპირობებს, თუ როგორ წარმოჩნდება რუსთველისეული მუსიკალური სამყაროს კულტურული კონტექსტი თარგმანში.

კვლევა გააანალიზებს კონკრეტულ მაგალითებს ორიგინალიდან და თარგმანიდან, წარმოაჩენს უორდროპის მთარგმნელობით სტრატეგიებს და შეაფასებს, რამდენად ზუსტად გადმოსცემს ინგლისური თარგმანი ქართული საკრავების ფუნქციურ და კულტურულ მნიშვნელობას პოემის კონტექსტში.

ლიზი მექვაბიძე, ელენე მეთრეველი

სპარსეთის ყურის ომი (1990–1991): რეგიონული დაპირისპირებიდან გლობალურ კონფლიქტამდე

სპარსეთის ყურის ომი დაიწყო 1990 წლის 2 აგვისტოს, როდესაც ერაყის შეიარაღებულმა ძალებმა მოახდინეს ქუვეითის ოკუპაცია. სადამ ჰუსეინის ამ აგრესიულ ნაბიჯს საფუძვლად ედო მრავალი ფაქტორი: ირან-ერაყის ომის შემდგომი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ისტორიული პრეტენზიები ქუვეითის ტერიტორიაზე, წვდომა ნავთობის მდიდარ საბადოებზე და რეგიონში დომინანტური პოზიციის მოპოვების სურვილი.

საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია იყო მყისიერი. გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 660, რომელიც გამოხატავდა ინვაზიას და მოითხოვდა ერაყის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას. ამ მოთხოვნის უგულვებელყოფის შემდეგ, გაერომ დააწესა ეკონომიკური სანქციები და, საბოლოოდ, გასცა ნებართვა ძალის გამოყენებაზე.

რეგიონული კონფლიქტი გლობალურ დაპირისპირებად გადაიქმნა, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უფროსის ინიციატივით ჩამოყალიბდა 35-ზე მეტი ქვეყნისგან შემდგარი კოალიცია. „უდაბნოს ფარი“ და „უდაბნოს ქარიშხალი“ გახდა პირველი ფართოდ გაშუქებული მაღალტექნოლოგიური ომი, რომელმაც სამხედრო ოპერაციების ახალი სტანდარტი დაამკვიდრა და წარმოაჩინა აშშ-ის სამხედრო უპირატესობა პოსტსაბჭოთა ეპოქაში.

კვლევაში გამოყენებულია შედარებითი ანალიზის, ისტორიული და გეოპოლიტიკური კვლევის მეთოდები, რომლებიც ეყრდნობა პირველად და მეორად წყაროებს.

ნინო ნარინდოშვილი, მარიამ მახათაძე

ქალთა როლი ეთნიკურ და სამოქალაქო კონფლიქტებში: რუანდის გენოციდის ქეისი

ისტორიის მანძილზე ქალების როლი ეთნიკურ და სოციალურ კონფლიქტებში ხშირად შეუმჩნევლად ან გამარტივებულად იყო წარმოდგენილი, ე.ი. ხშირად შემოიფარგლებოდა მათთვის მსხვერპლის იარღილის მინიჭებით ან მათი პასიურობით გამონჭველი ტანჯვის ნარატივებით. თუმცა, 1994 წლის რუანდის გენოციდის შემთხვევა ცხადყოფს ბევრად უფრო რთულ რეალობას, რომლებშიც ქალებმა არა მხოლოდ გაუძლეს წარმოუდგენელ ძალადობას, არამედ აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც ძალადობრივ ქმედებებსა და სისასტიკეში, ისე გადარჩენისა და პოსტკონფლიქტური რეკონსტრუქციის პროცესებში.

რუანდის გენოციდი, რომელიც XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე სასტიკ ეთნიკური ნიადაგის კონფლიქტადაა მიჩნეული, ოფიციალურად დაიწყო 1994 წლის 7 აპრილს და მიმდინარეობდა დაახლოებით 100 დღის განმავლობაში. კონფლიქტს მოჰყვა 800 000-მდე ტუტსის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა ჰუტუს ექსტრემისტების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ ქალები ყველაზე მეტად დაზარალდნენ მსხვერპლთა შორის – თავიანთ თავებზე გამოსცადეს ისეთი უბედურებები, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება და

მკვლელობა – მათი როლი ბევრად აღემატებოდა პასიური დაზარალებულებისას. კერძოდ, ათასობით ქალი აქტიურად მონაწილეობდა მკვლელობებში და ახალისებდა ძალადობას. კონფლიქტის დასრულების შემდგომ კი ქალები მოგვევლინენ, როგორც გადამწყვეტი ფიგურები რუანდის აღმშენებლობაში, ხელმძღვანელობდნენ საზოგადოების რეაბილიტაციის მცდელობებს და მთავარ როლს ასრულებდნენ გარდამავალი მართლმსაჯულების პროცესებში, როგორიცაა გაკაკას სასამართლოები.

სწორედ ზემოაღნიშნული კომპლექსური ხასიათი ქალთა ჩართულობისა, ხაზს უსვამს აუცილებლობას, რომ გავცდეთ გამარტივებულად წარმოჩენილ პორტრეტს და დავინახოთ ქალთა მრავალმხრივი როლი როგორც უშუალოდ კონფლიქტის მიმდინარეობისას, ისე მის შემდგომ პერიოდში. შესაბამისად, რუანდის მაგალითზე დაყრდნობით, ჩვენს ნაშრომში მიზნად ვისახავთ კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ ტრადიციული გენდერული ვარაუდები და ქალების, როგორც მსხვერპლების, დამნაშავეების, შუამავლებისა და მშვიდობის მშენებლების, ჩართულობის შესწავლით უფრო დეტალურად წარმოვადგინოთ ე.წ. „სუსტი სქესის“ რეალური ქმედუთინარიანობა უკიდურესი სოციალური და ეთნიკური არეულობების დროს.

საკითხზე მუშაობისას საკვლევ მეთოდად გამოვიყენეთ პირველადი და მეორეული წყაროს ანალიზი, ხოლო თეორიულ ჩარჩოდ შერჩეულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობების ფემინისტური თეორია, რამდენადაც იგი ყურადღებას ამახვილებს ქალთა უფლებებზე, განსაკუთრებით კონფლიქტების დროს და ცდილობს, მამაკაცების როლით დომინირებად ქეისებში წინ წამოსწიოს ქალების, როგორც მნიშვნელოვან აქტორთა ხმა.

ნათია სიბაშვილი, ანი ავალიშვილი

ითაკა, როგორც ადამიანის მარადიული ნავსაყუდელის სიმბოლო

საკონფერენციო ნაშრომში ვისაუბრებთ ითაკაზე, ადგილზე, რომელიც ოდისევსისთვის არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ მისი სულის მარადიული სამოთხე იყო. ითაკა შეიძლება გავია-

ზრით, როგორც სამშობლოს სიმბოლო, რომლის გარეშეც ადამიანის ბედნიერება არასრულფასოვანია, რადგან იგი მისი არსების განუყოფელი ნაწილია.

სიტყვა „სამშობლო“ მხოლოდ და მხოლოდ რვა ასოსგან შედგება, თუმცა მასში იმხელა სიყვარული, ბედნიერება და ნეტარებაა ჩატეული, რომ ამ ყოველივეს გადმოსაცემად სიტყვები უძლურია. სამშობლო მთელი სულითა და გულით უნდა შეიგრძნო, შეიყვარო და მუდამ გულის ჭიბით ატარო.

და მაინც, რა არის სამშობლო? სამშობლო გულის ფეთქვას ჰგავს – უხილავ, მაგრამ ცხოვრების რიტმთან დაკავშირებულ ძველას. ეს არის მიწა, რომელზეც ადამიანი დაიბადა, გაიზარდა და დაყმანვილდა, სივრცე, სადაც მისი პირველი სუნთქვა გაჩნდა და უკანასკნელ ამოსუნთქვას ელოდება. სამშობლო არ არის მხოლოდ გეოგრაფიული ადგილი – ის ჩვენი იდენტობის, კულტურისა და არსებობის განუყოფელი ნაწილია, რადგან სადაც არ უნდა წავიდეთ, მისი სუნთქვა სულ თან დაგვყვება, როგორც ბავშვობის სიზმარი, რომელსაც ვერასდროს ვივიწყებთ.

საკონფერენციო ნაშრომში ვისაუბრებთ ჰომეროსის „ოდისეაზე“. ამ ნაწარმოებში ოდისეუსი არის გმირი, რომელმაც ათწლიანი ტროას ომის შემდეგ კიდეც ათი წელი დაჰყო მოგზაურობაში. ის ამ გზაზე შეხვდა ქალღმერთებს, რომლებმაც უკვდავებაც კი შესთავაზეს, თუმცა მან უარი თქვა ამ წყალობაზე, რადგან მისი გული მხოლოდ ითაკაში დაბრუნებას ნატრობდა. „ყველა გზა ითაკაში მიდის“ – ეს იყო მისი სულიერი კომპასი, მისი შინაგანი სინათლე, რომელმაც გზად არაერთი განსაცდელი მოუვლინა. ოდისეუსის ხანგრძლივი და დამღლევი გზა შეიძლება აღვიქვათ, როგორც ადამიანის სულიერი მოგზაურობა, რომლის განმავლობაშიც მას მრავალი გამოცდა გადახდება თავს.

საკონფერენციო ნაშრომში მაგალითად მოვიყვანთ ისეთ ნაწარმოებებს, როგორებიცაა, „მინის ყივილი“ და „შელოცვა რადიოთი“. ამ ტექსტებში ცხადად ჩანს სამშობლოსა და ადამიანის ერთიანობის იდეა – ის კავშირი, რომელიც ვერც მანძილმა, ვერც დრომ და ვერც განსაცდელმა ვერასდროს დაარღვია.

**ივანე ჯავახიშვილი და ტრადიციული ქართული სამეურნეო
კულტურის კვლევის ისტორია (მემინდვრეობა სვანეთში)**

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის კვლევაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქართული სამეურნეო კულტურის შესწავლა. ყოველი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ხასიათდება განსაკუთრებული სამეურნეო თავისებურებებით, რასაც განაპირობებს როგორც ისტორიული განვითარების პროცესები, ისე ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორები. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სვანეთის რეგიონი, რადგან მკაცრი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, ადგილობრივი მოსახლეობა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების საფუძველზე, ახერხებდნენ ჩამოეყალიბებინათ და შეექმნათ სამეურნეო კულტურის მრავალფეროვანი ტრადიციები.

ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, ივანე ჯავახიშვილი, დიდ ყურადღებას უთმობდა ტრადიციული სამეურნეო კულტურის შესწავლას. აღსანიშნავია მისი წვლილი როგორც ქართული ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებისა და სისტემატიზაციის, ასევე ეთნოლოგიის სკოლის ფრომირების საქმეშიც. მან შეიმუშავა სპეციალური პროგრამა, კითხვართან ერთად, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხური ყოფისა და ტრადიციების სრულფასოვნად შესწავლასა და აღწერას. სწორედ ამ დოკუმენტზე დაყრდნობით, 1935 წელს, განხორციელდა ექსპედიცია და შეიკრიბა დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს არა მხოლოდ სვანეთის რეგიონისთვის, არამედ მთელი საქართველოს ეთნოლოგიისთვის.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა სვანეთის მემინდვრეობის კულტურის შესწავლა, იმ ფონზე, როცა რეგიონს გეოგრაფიული მდებარეობა და მკაცრი კლიმატური პირობები მნიშვნელოვნად ზღუდავდა სოფლის მეურნეობას. სწორედ ამ რეალობაში მყოფი საზოგადოება ავითარებდა უნიკალურ და ადგილობრივ პირობებზე მორგებულ მეურნეობით პრაქტიკებს, რომელთა ანალიზი და დოკუმენტირება მნიშვნელოვანი საძიებო საკითხი იყო. ივანე ჯავა-

ხიშვილის მიერ ჩატარებულმა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა, რომ სიღრმისეულად ჩავწვდომოდით სვანურ მემინდვრეობას, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ პრაქტიკას. მემინდვრეობის ორგანიზების ფორმები, მოსავლის გაზიარების წესები, შრომის განაწილების ტრადიციები და ა.შ არ იყო მხოლოდ ეთნოგრაფიული დეტალები.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ივანე ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდოლოგია, რომლის ფრაგლებშიც განვიხილავ სვანეთის მემინდვრეობის ტრადიციულ ფორმებს.

გვანცა ფირცხალა

თეკლა ბატონიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ასულთა შორის გამორჩეული იყო თეკლა ბატონიშვილი (1776-1846). მართალია, თეკლა ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ საკითხის კვლევა ამოწურულია.

თეკლა ბატონიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში მრავალი მნიშვნელოვანი ასპექტი გამოიყოფა. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ იგი, როგორც სამეფო კარის წევრი, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ერეკლე მეორეს, ასევე, შემდგომ, რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილების ცხოვრებაში. თეკლა ბატონიშვილის პოეტური შემოქმედება მნიშვნელოვანი წყაროა მე-18 საუკუნის ქართული ლიტერატურული აზროვნების შესასწავლად.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ქალის ისტორიულ როლზე საქართველოში, ყურადღებას გავამახვილებთ თეკლა ბატონიშვილის ცხოვრებაზე.

**დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა დაპირისპირება
თამარ მუხრანბატონიშვილის გამო (XVII საუკუნის II ნახევარი)**

XV საუკუნის II ნახევარში საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო დასავლეთ საქართველოში. იმერეთის მეფეს, ფაქტობრივად, დაკარგული ჰქონდა კონტროლი გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის სამთავროებზე. სამთავროები დამოუკიდებელ საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას აწარმოებენ. ამავე დროს, ტყვეთა სყიდვა პიკს აღწევდა და დასავლეთ საქართველოს საზოგადოება დემოგრაფიული გაჩანაგების პირას იმყოფებოდა.

ოსმალეთი მუდმივად ცდილობდა ქართული ტერიტორიების დაკავებას. მოსახლეობის შემცირება, ოსმალეთთან დაპირისპირება და ერთიანი დასავლეთ საქართველოს არარსებობა, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს ქმნიდა. მიუხედავად არაერთი პრობლემისა, XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავარნი, სხვადასხვა მიზეზით, ერთმანეთთან დაპირისპირებისთვისა და ძმათა მკვლელი ომისთვისაც იცლიდნენ.

მსოფლიოს პოლიტიკურ ისტორიაში ქალები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ, მაგრამ XVII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები, ვფიქრობ ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და საინტერესოა. ალექსანდრე მუხრანბატონის ქალიშვილის თამარის სილამაზით იმდენად მოიხიბლენ იმერეთის მეფე, გურიისა და სამეგრელოს მთავრები, რომ ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდნენ. თამარს სიცოცხლის მანძილზე რამდენიმე ქმარი ჰყავდა. XVII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოში თამარი სილამაზის ეტალონად იყო ქცეული.

მოპოვებული წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, მოხსენებაში წარმოდგენილია XVII საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში განვითარებული მოვლენები, რომელიც თამარ ბაგრატიონს უკავშირდება. ვისაუბრებ თამარ ბაგრატიონის სილამაზით მოხიბლული იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მეფე-მთავართა დაპირისპირების შესახებ.

**ზაირა არსენიშვილის პოეტური ენის საკითხისათვის
რომანის „ვა სოფელო“ მიხედვით**

ზაირა არსენიშვილი მკითხველთა ფართო აუდიტორიამ გადაცვალებიდან ოთხი წლის შემდეგ გაიცნო, როცა მისი რომანი „ვა სოფელო...“ ანუ „კახური ქრონიკები“ მეორედ გამოიცა. ნაწარმოებში მოვლენები XX საუკუნის 20-50-იან წლებში, თელავში ვითარდება. ავტორმა საკუთარ თავზე გამოსცადა ის, თუ რას ნიშნავდა საბჭოთა პერიოდი, ამიტომაც რომანში მკაფიოდ ჩანს ეპოქის სირთულები, სტალინური რეპრესიები, მასობრივი დევნა, დაპატიმრებები და დახვრეტები. ეს იყო იდეოლოგიური ცვლილებებისა და მძიმე ეკონომიკური გარდაქმნების დრო, რამაც ქვეყნის სოციალური და კულტურული ცხოვრება რადიკალურად შეცვალა.

„ვა სოფელო...“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოეტური ენის გამო, რომელიც აერთიანებს XX საუკუნის 20-30-იანი წლების ყოფით რეალობას, დიალექტურ ელემენტებს, ისტორიზმებსა და მდიდარ ლექსიკურ ერთეულებს. ზაირა არსენიშვილი ოსტატურად იყენებს კუთხური მეტყველების ელემენტებს, რაც პერსონაჟების ინდივიდუალობას და მათ სოციალურ წარმომავლობას უსვამს ხაზს. მაგალითად: „შენზე მეტი დატანჯული არა ვაარ?“, „ერთი გყავს მანდა“, „თავისიანები არა ვაართ?“, „შენ ჭკვას მაინც ვერ ისწავლი“, „ორი კი არა ათი რომ გეჯდეს მანდა!“. ასევე, ისტორიზმები, როგორიცაა: „პატრუქი“, „ჩაჩქანი“, „პატრონტაშებით“ ეპოქის კოლორიტს აძლიერებს და მკითხველს დროისა და სივრცის განსაკუთრებულ შეგრძნებას უტოვებს. ნაწარმოებში ზოგიერთ პერსონაჟს რეგიონული დიალექტისთვის დამახასიათებელი ბგერითი ცვლილებები ახასიათებს, რაც ტექსტს ბუნებრივობასა და ლოკალურ ხასიათს სძენს.

რომანში მნიშვნელოვანი ასპექტია საბჭოთა კავშირის აღქმა ბავშვის თვალით. პატარა ჩიკოს პერსპექტივიდან მკითხველი ხედავს, როგორ აყალიბებდა საბჭოთა იდეოლოგია ახალ თაობას. მაგალითად, ბავშვებისთვის „ოქტომბრელები“ ბედნიერებისა და წარმატების სიმბოლოები არიან, რაც აშკარად ასახავს იმდროინდელ პროპაგანდას. მნიშვნელოვანი მომენტი ჩიკოსა და მისი

ბებიის დიალოგი, როცა ის გამოტყდება, რომ ილია ჭავჭავაძე უნდა გამოვიდეს, რაც მეტაფორულად ასახავს ეროვნული თვითმყოფადობისა და საბჭოთა იდეოლოგიის დაპირისპირებას. მისი თვალთვხედავთ, ასევე, მამასა და ძია ლექსოს, რომლებიც ორი განსხვავებული იდეოლოგიური პოლუსის წარმომადგენლები არიან, ბავშვი მათ კამათს „ხომალდების“-„ნადიკვარისა“ და „ახალი ბალის“ შერკინებას“ ადარებს. ძია ლექსო საბჭოთა იდეოლოგიის მიმდევარია, განსხვავებით გიორგისაგან, რომელიც ახალ სისტემას ემორჩილება და ცდილობს მასში თავისი ადგილი იპოვოს, ორივე პერსონაჟი ნათლად ასახავს, როგორ ინგრეოდა ტრადიციული ოჯახი და ურთიერთობები საბჭოთა რეპრესიების ფონზე.

ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელო...“ უნიკალური ნაწარმოებია, რომელიც არა მხოლოდ ისტორიულ რეალობას გადმოსცემს, არამედ მდიდარი პოეტური ენით ქმნის ძლიერ ემოციურ ფონს. დიალექტიზმები, ისტორიზმები, ელემენტები ტექსტს ავთენტურობას სძენს, პერსონაჟების ინდივიდუალობას უსვამს ხაზს და მკითხველს საბჭოთა რეპრესიების ფონზე დასამახსოვრებელ ემოციურ მოგზაურობას სთავაზობს. ნაწარმოები ოჯახური ტრაგედიის, იდეოლოგიური დაპირისპირებისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების რთულ გზას ასახავს, რაც მას ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქმნილებად აქცევს.

გვანცა ჩადუნელი, შოთა ვადაჭკორია

ორი სამყარო, ორი ნარატივი: ფოკუს პერსონაჟები ბერძნულ და ინდურ მითოლოგიაში

ბერძნული და ინდური მითოლოგია კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ორ მნიშვნელოვან ფესვად შეიძლება ჩაითვალოს. საინტერესოა, რომ მიუხედავად შინაარსობრივი მსგავსებებისა, მაგალითად, ღმერთების ჩარევა ადამიანურ საქმეებში, გმირობისა და მსხვერპლის თემატიკა – ამ ორ სისტემას შორის შეიმჩნევა პერსონაჟებზე ფოკუსის განსხვავებული აქცენტები. ერთი შეხედვით, ბერძნული მითოლოგია სიუჟეტურ ყურადღებას ხშირად მამაკაც პერსონაჟებზე ამახვილებს. გმირები, როგორებიც არიან ჰერაკლე, აქილეუსი და ოდისეუსი, უფრო განასახიერებენ ძალას,

ღირსებასა და ინდივიდუალურ გმირობას, მაშინ როდესაც ქალების როლები უფრო მეორეხარისხოვნად აღიქმება – ზოგჯერ ისინი ეხმარებიან გმირს, ზოგჯერ კი წინააღმდეგობას უწევენ მას გმირობისკენ მიმავალ გზაზე. ინდური მითოლოგია, განსაკუთრებით ჰინდუისტური ეპოსები, როგორიცაა რამაიანა და მაჰაბჰარატა, უფრო მეტად გვთავაზობენ მრავალფოკუსიან სიუჟეტურ სტრუქტურას. აქ ქალ პერსონაჟებს, (მაგალითად სავიტრი, დამაიანტი ან პარვატი), როგორც წესი, ენიჭებათ არა მხოლოდ სიმბოლური, არამედ აქტიური და სიუჟეტურად გარდამტეხი მნიშვნელობაც. ამ ორ მითოლოგიურ ტრადიციას შორის შედარება შეიძლება მიაწინებდეს იმაზე, თუ როგორ შეიძლება განსხვავებული კულტურული კონტექსტები და გენდერული აღქმა აისახოს მითოლოგიურ ნარატივში. შესაძლოა, ბერძნულ ისტორიებში გმირობის იდეა უფრო მეტად უკავშირდებოდეს კაც პერსონაჟთა თავგადასავლებს, მაშინ როცა ინდური მითოლოგია ქმნის შედარებით მრავალფეროვან და გენდერულად დაბალანსებულ სურათს. თუმცა ეს ხედვა, რა თქმა უნდა, ერთმნიშვნელოვნად არ უნდა განვაზოგადოთ და მრავალფეროვანი ინტერპრეტაციისთვის სივრცეც უნდა დავტოვოთ.

საბა ცააძე, სემიონ ჯიქია

ნაციონალიზმის აღზევება ევროპაში XIX საუკუნის პირველ ნახევარში

XIX საუკუნის პირველი ნახევარი ევროპის ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე დინამიკურ და გარდამტეხ პერიოდად ითვლება, რა დროსაც დაიწყო ნაციონალიზმის, როგორც იდეოლოგიური და პოლიტიკური მოძრაობის ჩამოყალიბება. საფრანგეთის რევოლუციამ (1789) და ნაპოლეონის ომებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალი პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებას, რომელშიც მთავარი ადგილი ეჭირა ერთიანი ერის, ენისა და კულტურის იდეას. ამ ეპოქაში ნაციონალიზმი თანდათან იქცა არა მხოლოდ იდეოლოგიურ დოქტრინად, არამედ მასობრივ პოლიტიკურ და სოციალურ მოძრაობად, რომელიც მიზნად ისახავდა ერთიანი ეროვნული სახელმწიფოების შექმნას.

განსაკუთრებული ყურადღება ამ მხრივ ეთმობა გერმანიისა და იტალიის მაგალითებზე ნაციონალისტური იდეების განვითარებას. გერმანული ნაციონალიზმი, თავდაპირველად კულტურული ერთიანობის ირგვლივ ვითარდებოდა – ენის, განათლებისა და ისტორიული მეხსიერების საერთო სივრცეზე – და ეტაპობრივად გადაიზარდა პოლიტიკურ მოთხოვნაში: გერმანული სახელმწიფოების გაერთიანებაში. იტალიის შემთხვევაში, ნაციონალიზმი გამოჩნდა, როგორც მოძრაობა ავსტრიის გავლენის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა იტალიის დაქსაქსული სამთავროების პოლიტიკურ გაერთიანებას, ე.წ. რისორჯიმენტოს (Risorgimento) ფორმით. ორივე შემთხვევაში ეროვნული იდეის იდეოლოგიურმა სიმტკიცემ გადამწყვეტი როლი ითამაშა შემდგომი პოლიტიკური ერთიანობის მიღწევაში.

1830 და 1848 წლების რევოლუციების მნიშვნელობაც დიდია ნაციონალიზმის კონტექსტში. ეს იყო პერიოდი, როდესაც ნაციონალიზმი ლიბერალურ იდეებთან შერწყმით იქცა მასობრივ ძალად. რევოლუციური ტალღები მთელი ევროპის მასშტაბით არ იყო მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური პროტესტის გამოხატულება – ისინი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ეროვნული თვითგამორკვევის იდეასთან. ამ მოვლენებში განსაკუთრებული როლი შეასრულეს განათლებულმა ბურჟუაზიამ, ინტელიგენციამ და სტუდენტურმა წრეებმა, რომლებიც ნაციონალისტური იდეოლოგიის ძირითად გამტარებად იქცნენ.

ამრიგად, XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნაციონალიზმის გაძლიერებამ ხელი შეუწყო ისეთი პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების განხორციელებას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ევროპის ეროვნულ სახელმწიფოებს და დიდწილად შეცვალა პოლიტიკური რუკა.

გიორგი ძიძიშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე

კარლ მარქსი – ისტორიის მატერიალისტური ახსნა

კარლ მარქსი მე-19 საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული და გავლენიანი მოაზროვნეა. მისი იდეები კვლავ იწარმოება და გამოიყენება სხვადასხვა სოციალური მოძრაობის წიაღში. ისიც გასათ-

ვალისწინებელია, რომ ზოგიერთი ტოტალიტარული რეჟიმისთვის, მარქსიზმი იქცა ერთადერთ ჭეშმარიტებად, რომელმაც სახელმწიფო რელიგიაც ჩაანაცვლა.

მარქსის მამა, ლიბერალური ღირებულებების მქონე პიროვნება, ფრანგი განმანათლებლების იდეებს იზიარებდა. ამასთან ერთად, მის შეხედულებებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მისმა მომავალმა სიმამრმა ლუდვიგ ფონ ვესტფალენმა, რომელიც, ასევე, განმანათლებელთა ნააზრევის თეორეტიკოსი იყო.

თავისი მეცნიერული თეორიის საფუძვლად მარქსი ისტორიულ მატერიალიზმს თვლიდა. ტერმინი „ისტორიული მატერიალიზმი“ არა მან, არამედ ენგელსმა შემოიღო. მარქსის სიტყვებით, ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, ნებისგან განყენებულ წარმოებით ურთიერთობას, რომელიც მათი მწარმოებლური ძალების განვითარების განსაზღვრულ საფეხურს შეესაბამება. ისტორიის მატერიალისტური გაგება მოიცავდა მნიშვნელოვან დებულებას, რომ საზოგადოებები არ შეიძლება ავხსნათ წარმოდგენებით, რომლებსაც ისინი თავიანთ თავზე იქმნიან. აუცილებელია, რომ ნებისმიერი იდეოლოგიის უკან სოციალური რეალობის სიღრმისეული საფუძვლები ვეძიოთ.

მარქსი, ასევე, საუბრობდა კლასების (არათანაბარ პირობებში მყოფი სოციალური ჯგუფები) ბრძოლის შესახებ. ეს არის ჩაგრულ-მჩაგვრელის ურთიერთობა, რომელსაც მარქსისთვის მოსდევს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა ან მებრძოლი კლასების სრული განადგურება.

მარქსის ეპოქაში საზოგადოება ბურჟუაზიად და პროლეტარიატად იყოფოდა. ის მათ იმ უკანასკნელ ანტაგონისტურ სოციალურ ჯგუფებად თვლიდა, რომელთა არსებობასაც კომუნისტური, უკლასო საზოგადოების შექმნა უნდა მოჰყოლოდა. აღსანიშნავია, რომ ამისთვის პროლეტარიატი ბურჟუაზიული ექსპლუატაციისგან უნდა გათავისუფლებულიყო და „საკუთარი დიქტატურა“ დაემყარებინა. ფაქტობრივად, მარქსისთვის „პროლეტარიატი მესიას წარმოადგენს“, მესიას, რომელიც ოქროს საუკუნეს მოიყვანდა და თავის ისტორიულ დანიშნულებას შეასრულებდა.

ანამარია ჭიჭინაძე, ქეთევან ლომიძე

პეტრიწონის მონასტერი და გრიგოლ ბაკურიანის ძის ტიპიკონის თავგადასავალი

ბულგარეთში, სოფიის წმ. კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ქართული ხელნაწერის წიგნის ერთადერთი ერთეულის არსებობა უკავშირდება 1083 წელს ქართველი სარდლის, გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ დაარსებულ პეტრიწონის, იმავე ბაჩკოვოს, მონასტერს. წიგნი წარმოადგენს ამ მონასტრის წესდებას, რომელიც XI საუკუნეში შედგა ქართულ და ბერძნულ ენებზე. ამჟამად ეს ადრეული დედანი დაკარგულია.

გრიგოლ ბაკურიანის ძემ XI საუკუნის ქართული ეკლესიისა და მონასტრული ცხოვრების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. იგი ცნობილი იყო თავისი მკაცრი მონასტრული წესდებითა და ლიტურგიკული რეფორმებით. პეტრიწონის მონასტერი გრიგოლმა მხოლოდ თავის თვისტომთათვის, ქართველთათვის, ააგო. საინტერესოა, რომ ბერძნებს, რომელთა გარემოშიც იზრდებოდა და რომელთა სახელმწიფოს ძლიერებისთვის იბრძოდა წლების განმავლობაში, სავანეში მოღვაწეობა ეკრძალებოდათ. ამას კი გრიგოლი ტიპიკონში საგანგებოდ აღნიშნავდა. ტიპიკონის თავგადასავალი საზღვარგარეთ მჭიდროდ უკავშირდება იმ რთულ გზას, რაც ქართველმა ბერებმა და თავად ქართულმა კულტურამ გაიარეს უცხო მიწაზე.

მოხსენებაში ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ტიპიკონს, რატომ ეკრძალებოდათ ბერძნებს მოღვაწეობა მონასტერში და იმის შესახებ თუ რაოდენ დიდი გზა განვლო ხელნაწერმა.

მარიამ ხაჩიძე, ლიზი სებისკვერაძე

ივანე ჯავახიშვილი და ეროვნული თვითშეგნების ფორმირება საქართველოს ისტორიოგრაფიაში

ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ფორმირება ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე. ივანე ჯავახიშვილმა,

როგორც ქართული ისტორიოგრაფიის ფუძემდებელმა, არა მხოლოდ წარსულის მეცნიერულ კვლევის საქმეს დაუდო საფუძველი, არამედ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული თვითშეგნების ფორმირებასა და განმტკიცებაში. მის ნაშრომებში წარმოდგენილია ეროვნული იდეის კონცეპტუალური დაფუძნების მცდელობა, მაგალითად „ქართული ერის ისტორია“. ჯავახიშვილისთვის ისტორია იყო არა მხოლოდ ცოდნის სფერო, არამედ ეროვნული არსებობის სტრატეგიული საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფდა ერთიანობას, იდენტობასა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას.

კვლევის მიზანია ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის ანალიზი, ეროვნული თვითშეგნების ფორმირების კონტექსტში. კვლევის კითხვებია: რა გავლენა მოახდინა ეპოქის პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა კონტექსტმა მის ისტორიულ ნააზრევზე? და როგორ შეიძლება შეფასდეს მისი ისტორიული ნარატივი თანამედროვე ეროვნული მეხსიერების კონტექსტში? საკვლევი ჰიპოთეზა ფორმულირდება შემდეგნაირად; ივანე ჯავახიშვილის ისტორიოგრაფია მიზნად ისახავდა ეროვნული თვითშეგნების გააქტიურებას და ქართული იდენტობის კონსოლიდაციას იმპერიული დომინაციის პირობებში.

ელენე ხუბაშვილი

ქართული რომანტიკული ეპოსი „ეთერიანი“ და „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ კომპარატივისტულ ჭრილში

ქართული „ეთერიანი“ მრავალ საერთო ელემენტს ავლენს კელტურ რომანტიკულ ეპოსთან „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“. ეს მსგავსება თავს იჩენს როგორც სიუჟეტებში, ასევე პერსონაჟთა თვისებებსა და მათი ცხოვრების გარდამტეხ მომენტებში, თუმცა საინტერესოა, ეს მსგავსება მხოლოდ სიუჟეტურია, თუ შეინიშნება ამ ორ ეპოსს შორის უფრო ღრმა ფუნქციური სიახლოვე, რაც მოგვცემს მათ ტიპოლოგიურ მსგავსებაზე საუბრის საშუალებას.

აღსანიშნავია, რომ ორივე ეპოსში წარმმართველია მარადიული სიყვარული, რომელსაც სიკვდილიც კი ვერაფერს აკლებს, თუმცა მ. ჩიქოვანის აღნიშვნით, განსხვავებულია სიყვარულის მო-

ტივი: ტრისტანსა და იზოლდას – მაგიური ჩარევის შედეგად, ხოლო აბესალომსა და ეთერს კი პირველი დანახვისთანავე უყვარდებათ ერთმანეთი.

საინტერესოა, რომ დასახელებულ ეპოსების სასიყვარულო სამკუთხედებში ფუნქციები განსხვავებულადაა გადანაწილებული: „ეთერიანში“ მეფე აბესალომისა და ეთერის სიყვარულს უპირისპირდება მეფის ერთგული ყმა მურმანი, ხოლო ეპოსში „წიგნი ტრისტანისა და იზოლდასი“ პირიქით, მარკ მეფე გვევლინება ტრისტანისა და საკუთარი ცოლის – იზოლდას სიყვარულის ხელისშემშლელად, თუმცა მურმანისგან განსხვავებით, მარკ მეფეც გარემოებათა მსხვერპლი აღმოჩნდება, რადგან მან არ იცოდა ტრისტანისა და იზოლდას გრძნობების შესახებ.

ტრისტანი ყოველ ეპიზოდში ინარჩუნებს სატრფოს ერთგულებას, აბესალომის გრძნობა ვერ უძლებს გამოცდას და მას შემდეგ, რაც ეთერს მკბენარები დაესევა, ჯადოს ზემოქმედებით ჯვარდნერილ ცოლს მურმანს გადასცემს. ორივე შემთხვევაში, შეყვარებულთა დაღუპვის მიზეზი მათი განშორებაა, რომლებიც კვლავ შეძლებენ ერთად ყოფნას იმ ქვეყნად, რასაც გამოხატავს მათ საფლავებზე ამოსული ია და ვარდი თუ ვაზი, თუმცა აბესალომს და ეთერს კვლავ ხელს უშლის მურმანი, ხოლო მარკ მეფე მიხვდება სიყვარულთან დაპირისპირების აბსურდულობას და გარდაცვლილ ტრისტანსა და იზოლდას ერთად დააკრძალვინებს.

ფოლკლორული ტექსტების კვლევის თავისებურებიდან გამომდინარე, რთულია იმას თქმა, თუ რამ გამოიწვია ეპოსებს შორის არსებული სიუჟეტური მსგავსება, თუმცა თვით მსგავს ეპიზოდებს შორისაც იმდენად დიდია ფუნქციური განსხვავება, რომ მხოლოდ მათ ტიპოლოგიურ მსგავსებაზე შეიძლება მსჯელობა.

მარიამ კაკალშვილი

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი გლობალურ კონტექსტში: აშშ-სა და ჩინეთის დაპირისპირების ფონზე

ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტი ქაშმირის საკითხის გარშემო უკვე ათწლეულებია წარმოადგენს მუდმივ საფრთხეს სამხრეთ აზიის სტაბილურობისთვის. თუმცა 21-ე საუკუნის გლობალურ

კონტექსტში ეს დაპირისპირება გაცილებით ფართო მნიშვნელობას იძენს – ის გახდება ერთ-ერთი იმ წერტილთაგანი, სადაც გლობალური ძალების, პირველ რიგში, აშშ-სა და ჩინეთის, ინტერესები პირდაპირ იკვეთება.

აშშ აქტიურად ავითარებს სტრატეგიულ პარტნიორობას ინდოეთთან ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. ეს პარტნიორობა მოიცავს ეკონომიკურ, სამხედრო და ტექნოლოგიურ სფეროებს, რაც ინდოეთს აძლიერებს, როგორც რეგიონულ ლიდერს და, იმავედროულად, აჩენს საფრთხეს პაკისტანისთვის, რომელიც უყურებს ინდოეთის გაძლიერებას, როგორც უშუალო საფრთხეს მის უსაფრთხოებაზე. პაკისტანი, თავის მხრივ, სულ უფრო მეტად უახლოვდება ჩინეთს – ეს პარტნიორობა განიმტკიცება როგორც ეკონომიკური კუთხით, ისე სამხედრო და ტექნოლოგიური თვალსაზრისით. ამ ფონზე ქაშმირი არ არის მხოლოდ ტერიტორიული დავა ინდოეთსა და პაკისტანს შორის, ის ხდება სტრატეგიული პლატფორმა, სადაც იკვეთება აშშ-ისა და ჩინეთის ინტერესები. გლობალურ კონტექსტში, კონფლიქტი იძენს ეკონომიკურ განზომილებას ჩინეთისა და აშშ-ის ინტერესების წრილში. ჩინეთის ინვესტიცია პაკისტანში, კერძოდ, CPEC – არამხოლოდ ინფრასტრუქტურული პროექტია, არამედ გეოეკონომიკური იარაღი, რომელიც პეკინს აძლევს წვდომას სტრატეგიულ ზღვის მარშრუტებზე.

მოხსენების მიზანია, გააანალიზოს ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის განვითარება არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების წრილში, არამედ გლობალურ კონტექსტში, სადაც აშშ და ჩინეთი ასრულებენ გადამწყვეტ როლს.

ლიზი ჯიბლაძე

მედეა ღამბაშიძე – ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოჩენილ ქალ სტუდენტთა შორის ერთ-ერთი მედეა ღამბაშიძეა. იგი ქართული უნივერსიტეტის პირველი სტუდენტი გახლდათ. პირველი სტუდენტური ბარათიც მედეა ღამბაშიძის სახელზე გაიცა 1918 წელს.

მედეა იყო ასული ღვანლმოსილი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვახტანგ ღამბაშიძისა. ვახტანგის მამა, დავითი, ცნობილი „დიდი დეკანოზის“ სახელით, საგანმანათლებლო-პუბლიცისტურ საქმიანობას ეწეოდა. ღამბაშიძეების სახელგანთქმულ ოჯახს არაერთი დამსახურება მიუძღვის ქართველი ხალხის წინაშე. ალბათ, სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა მედეას უდიდესი სურვილი და შეიძლება ითქვას, მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანიც კი – რაიმე მხრივ სამსახური გაეწია მშობლიური ქვეყნისათვის.

მედეა ღამბაშიძე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაარსებული პირველი ქართული სატანვარჯიშო სპორტული საზოგადოების, „შევარდენის“, წევრი გახდა, სწავლობდა და უსმენდა ლექციებს „ქართველთა სამეცნიერო ტაძარში“, თუმცა მალე მისი, ისევე, როგორც მრავალი ქართველის, ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის შემოჭრის შემდეგ ღამბაშიძეების ოჯახი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და საფრანგეთში გადასახლებულიყო. ეს გახდა საწყისი ემიგრაციის ულუვი დღეებისა. დატოვებულ საქართველოზე დარდი მედეას მოსვენებას არ აძლევდა. მოჩვენებითი მხიარულების ფონზე, მედეა ღამბაშიძე აქტიურად ცდილობდა, ხელი შეეწყო ქართული ენის, პროზისა და პოეზიის პოპულარიზაციისათვის. აგრეთვე, ყურადღებას იმსახურებს მისი თარგმანები, რითაც სურდა მთელი ევროპის მასშტაბით სახელი გაეთქვა დიდი ისტორიის მქონე სამშობლოსათვის.

წარმოდგენილ მოხსენებაში, ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, საუბარი გვექნება მედეა ღამბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ნიშანდობლივია, რომ კვლევის ძირითად მასალას წარმოადგენს ისეთი წყაროები, როგორიცაა თავად მედეა ღამბაშიძის დღიური, ჩანაწერები, წერილები და მედეასა და მისი ოჯახის შესახებ არსებული მოგონებები, რომლებზეც გარკვეულწილად ყურადღება იქნება გამახვილებული ნაშრომში.

ამრიგად, მედეა ღამბაშიძე ქართული ემიგრაციის სახელოვანი წარმომადგენელია და ღირსეული ადგილი უკავია იმ ქართველ ქალბატონთა შორის, რომლებიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, რათა საქართველოსთვის სიკეთე ესახსოვრათ.

